

უპირატესობა შედეგია ცოდნისა!



ნ ე ღ ნ ი ს ა

ა უ ღ ი ტ უ რ ი კ ო ნ ც ე რ ნ ი

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

თბილისი

2020

სარჩევი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	3
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	9
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	10
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	11
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	12
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	13
1. ძირითადი ინფორმაცია	13
2. საქართველოს ბიზნეს-გარემო	13
3. მომზადების საფუძველი	13
4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა	15
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	22
6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	22
7. გადახდილი ავანსები	22
8. მარაგები	23
9. გადასახადები	23
10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები	24
11. სხვა გრძელვადიანი აქტივები	27
12. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	27
13. მიღებული ავანსები	27
14. მიღებული გრძელვადიანი სესხები და მათი მიმდინარე ნაწილი	28
15. გადასახდელი დივიდენდები	28
16. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	28
17. საწესდებო კაპიტალი	29
18. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	29
19. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	30
20. მიწოდების ხარჯები	30
21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	31
22. სხვა საოპერაციო ხარჯები	31
23. ფინანსური ხარჯები	31
24. მოგება (ზარალი) სავალუტო საკურსო სხვაობებიდან	32
25. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - სესხები	32
26. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - პროცენტები	33
27. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - დივიდენდები	33
28. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება	33
29. რისკების მართვა	34
30. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	37
31. გაუთვალისწინებელი გარემოებები	37
32. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	39

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი



შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საიდენტიფიკაციო N 211344188. www.tsodnisa.ge ელ. ფოსტა: info@tsodnisa.ge

თბილისი 0177, ვაჟა-ფშაველას გამზ. N 41, IV სართული. ტელ.: 239-33-50, 239-33-56

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ახალი ნათების“ პარტნიორსა და მენეჯმენტს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ახალი ნათების“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 202066156) (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ (IESBA-კოდექსი) და საქართველოში მოქმედი ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებული ეთიკის ნორმების შესაბამისად და ჩვენ აგრეთვე შევასრულეთ IESBA-კოდექსის და ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებები. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია, რომელიც არ არის ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნა

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად:

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 2

„1. სდპ-მა და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა უნდა მოამზადონ და სამსახურს უნდა წარუდგინონ მმართველობის ანგარიშგება...“

2. მმართველობის ანგარიშგება მოიცავს:

ა) საქმიანობის მიმოხილვას; ბ) კორპორაციული მართვის ანგარიშგებას; გ) არაფინანსურ ანგარიშგებას.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობის მიმოხილვას ამზადებენ სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ კორპორაციული მართვის ანგარიშგებას ამზადებს ამ კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ყ.ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირი.

5. ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ არაფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ის სდპ, რომელიც შეესაბამება პირველი კატეგორიის საწარმოს ზომით კატეგორიას, ამასთანავე, საანგარიშგებო პერიოდში ჰყავს საშუალოდ 500-ზე მეტი დასაქმებული...

10. სდპ და პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები ვალდებული არიან, მმართველობის ანგარიშგება მიაწოდონ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გამოთქვამს თავის მოსაზრებას ამ მუხლის მე-6 პუნქტისა და მე-7 პუნქტის „გ“ და „ზ“ ქვეპუნქტების მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით აუდიტორი/აუდიტორული ფირმა განსაზღვრავს არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მიუთითებს მათ არსს“.

კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს. აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, კომპანიამ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანადროულად წარმოადგინა მმართველობის ანგარიშგება, საქმიანობის მიმოხილვის სახით. საქმიანობის მიმოხილვაში ასახულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს ინფორმაციას კომპანიის საქმიანობის, ძირითადი მაჩვენებლების, რისკებისა და სამომავლო გეგმების შესახებ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობის შესახებ

კომპანიის 2019 წლის მმართველობის ანგარიშგება (საქმიანობის მიმოხილვა) თანხვედნილია ამავე საანგარიშგებო წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს. მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ პუნქტით განსაზღვრული ნაწილის (საქმიანობის მიმოხილვის) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 5

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

25 სექტემბერი, 2020 წელი

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2019	31.12.2018	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	154 593	39 586	5
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	441 715	445 416	6
გადახდილი ავანსები	1 067 099	654 675	7
მარაგები	13 841 006	10 927 202	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	594 137	123 103	9
სხვა მიმდინარე აქტივები	40 502	34 704	
მიმდინარე აქტივები სულ:	16 139 053	12 224 686	
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	7 577 224	7 674 743	10
არამატერიალური აქტივები	82 486	104 007	10
ბიოლოგიური აქტივები	43 914	39 580	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4 627 962	29 081	11
გრძელვადიანი აქტივები სულ:	12 331 585	7 847 411	
აქტივები სულ:	28 470 638	20 072 097	
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2 030 459	1 059 068	12
მიღებული ავანსები	2 262 133	452 955	13
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	739 053	714 988	14
გადასახდელი გადასახადები	209 362	255 612	9
გადასახდელი დივიდენდები	1 956	273 203	15
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	155 992	16 731	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	5 398 956	2 772 557	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	3 924 108	3 204 412	14
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4 069 582	-	16
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	7 993 690	3 204 412	
ვალდებულებები სულ:	13 392 646	5 976 969	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2 000	2 000	17
გაუნაწილებელი მოგება	15 075 992	14 093 128	
მ.შ მიმდინარე წლის მოგება	1 117 864	1 333 367	
კაპიტალი სულ:	15 077 992	14 095 128	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	28 470 638	20 072 097	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 40-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2019	2018	შენიშვნა
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	24 931 016	22 213 211	18
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(14 567 162)	(13 010 956)	19
საერთო მოგება	10 363 854	9 202 256	
მიწოდების ხარჯები	(5 507 690)	(4 979 949)	20
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 703 181)	(1 591 609)	21
სხვა საოპერაციო ხარჯები	(836 610)	(931 415)	22
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	2 316 374	1 699 283	
ფინანსური შემოსავალი	-	29 441	
ფინანსური ხარჯები	(919 113)	(346 722)	23
მოგება / (ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(428 314)	(100 118)	24
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	153 961	51 484	
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(1 193 467)	(365 916)	
მოგება დაბეგვრამდე:	1 122 907	1 333 367	
მოგების გადასახადის ხარჯი	(5 043)	-	
მოგება დაბეგვრის შემდეგ :	1 117 864	1 333 367	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება:	1 117 864	1 333 367	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 40-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება**2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის***(1 ლარი)*

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2017-თვის	2 000	12 759 762	12 761 762
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	1 333 367	1 333 367
ნაშთი 31.12.2018-თვის	2 000	14 093 128	14 095 128
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	1 117 864	1 117 864
განაწილებული დივიდენდები	-	(135 000)	(135 000)
ნაშთი 31.12.2019-თვის	2 000	15 075 992	15 077 992

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

ადმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 40-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2019	2018	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	30 973 153	25 673 395	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	4 286	-	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(21 288 978)	(16 703 809)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(3 247 109)	(3 039 454)	
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(203 014)	(111 509)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(11 874)	15 173	
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	(190)	(1 000)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(5 425 158)	(4 402 435)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(5 043)	(4 479)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(103 146)	(88 587)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	692 927	1 337 295	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(557 958)	(385 257)	
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	138 474	-	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(419 484)	(385 257)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან			
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო			
სესხების აღება	19 322 880	12 079 898	25
სესხების დაფარვა	(18 777 205)	(12 516 182)	25
გადახდილი პროცენტები	(290 316)	(294 180)	26
გადახდილი დივიდენდები	(385 935)	(274 707)	27
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(130 575)	(1 005 171)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(27 862)	(22 727)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	115 007	(75 860)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	39 586	115 446	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	154 593	39 586	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 40-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი ინფორმაცია

შპს „ახალი ნათება“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 1999 წლის 18 ოქტომბერს ქ. თბილისის დიდუბის სასამართლოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 202066156. იურიდიული მისამართია - ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ალ. ყაზბეგის გამზ., №25ა. კომპანიის გენერალური დირექტორი - ზურაბ გაბინაშვილი, აღმასრულებელი დირექტორი - თემური არდოტელი.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გასანათებელი საშუალებების, ავეჯისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია, როგორც საბითუმო ისე საცალო ქსელში, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანიას გააჩნია 19 მაღაზია-სალონი. ამათგან 12 მდებარეობს ქ. თბილისში, ხოლო 7 - საქართველოს სხვა რეგიონებში.

კომპანიის ერთადერთი 100%-იანი წილის მფლობელია ზურაბ გაბინაშვილი (პ.ნ. 01019002369).

2. საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკამათო საკითხებს სახელმწიფო ორგანოებსა და მოქმედ კომერციული კომპანიებს შორის.

3. მომზადების საფუძველი

ა) მომზადების ძირითადი საფუძველი

კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მეორე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

თანახმად. აღნიშნული კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სავალდებულოა.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების „ფასს“-თან შესაბამისობით მომზადება მენეჯმენტისგან ითხოვს დაშვებების, შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმას, რომლებიც მოქმედებენ ფინანსური აღრიცხვის პოლიტიკების გამოყენებასა და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლისა და ხარჯების, ასევე პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების ანგარიშგებულ თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს ხსენებული შეფასებებისგან. შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მომავალი ფინანსური წლის შედეგების არსებითი კორექტირებების რისკებს.

ბ) საანგარიშგებო პერიოდი

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლის ბოლოს მდგომარეობით მონაცემები იგივეა, რაც მომდევნო წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოყვანილი მონაცემები.

გ) წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

დ) გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი; 1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი; 1 EUR=3.0701 ლარი.

4. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ის არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება.

ა) შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

ბ) ფინანსური შემოსავლები და ხარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავლები და ხარჯები მოიცავს სესხებზე დარიცხული პროცენტის თანხებს, ასევე ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეულ შემოსავლებსა და ხარჯებს.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული სარგებელი ან ზარალი წარმოდგენილია წმინდა ღირებულებით, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იქიდან გამომდინარე, უცხოური ვალუტის მოძრაობით მიღებული შედეგი წმინდა შემოსავალია თუ წმინდა ხარჯი.

კომპანიის სხვა შემოსავალს წარმოადგენს ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება, კრედიტორებისგან მიღებული კრედიტ-ნოტები და საპროცენტო შემოსავალი კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან, გაცემული სესხებიდან, ფასიანი ქაღალდებიდან და სხვა შემოსავალი. კომპანია საპროცენტო შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს მას მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გ) გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული საკურსო სხვაობა აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დ) დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

ე) გადასახადები

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის, შესაბამისად, არ გააჩნიათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2019 წელს საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

ვ) მარაგები

მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და სხვა დანახარჯებს, რომელიც მოიცავს მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რაც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან.

ზ) ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი

კომპანია არამატერიალურ აქტივებს აღრიცხავს მათი თვითღირებულებით (ისტორიული ღირებულება) გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

კომპანია აღრიცხავს ძირითადი საშუალებების ცვეთას წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ხანგრძლივობის მიხედვით:

შენობა-ნაგებობები	- 20 წელი;
მანქანა-დანადგარები	- 5 წელი;
მსუბუქი ავტომობილები, სხვა ავტოტრანსპორტი	- 5 წელი;
კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული მოწყობილობები	- 5 წელი;
ავეჯი და ინვენტარი	- 5 წელი;
საოფისე აღჭურვილობა	- 5 წელი;

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები, ელექტროგადაცემის მოწყობილობები და სხვა მოწყობილობები	- 12,5 წელი;
გათბობა-გაგრილების სისტემა	- 10 წელი;
კავშირგაბმულობის საშუალებები	- 4 წელი;
სხვა მოწყობილობები	- 2,5 წელი.

ძირითადი საშუალებების შეძენის თვე ცვეთის დარიცხვის მიზნებისთვის აიღება როგორც სრული თვე, ხოლო ძირითადი საშუალების გასვლის თვე ცვეთის დარიცხვის დროს არ გაითვალისწინება.

ძირითადი საშუალება იცვითება იმ თვიდან, როდესაც ხდება მისი ექსპლუატაციაში გაშვება ან ის მზადაა დანიშნულებისამებრ ექსპლუატაციაში გაშვებისთვის.

შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო მომსახურის ვადის შესაბამისად;
- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15% (6,67 წელი);
- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

თ) ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივი

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი მდგომარეობს იმაში, თუ როგორ მართავს კომპანია ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს-მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოძინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ მოიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (რაც დადგენილია ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად).

ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და შეფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, მაშინ, როცა:

- 1) თუ ეს აქტივი წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტის დონეზე. საპროცენტო ამონაგები გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
- 2) როცა კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს მათგან გამომდინარე ფულადი ნაკადების მიღების მიზნით.

სხვა შემთხვევებში, ფინანსური აქტივი აღირიცხება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება

დებიტორული სავაჭრო დავალიანების გაუფასურება ხდება, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს შესაბამისი მისაღები მოთხოვნების მიხედვით კუთვნილი თანხის სრულად ან ნაწილობრივ მიღებას.

ისეთი ოპერაციების შედეგად წარმოქმნილ სავაჭრო მოთხოვნებთან ან ან სახელშეკრულებო აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ფასს 15-ის მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამასთან, ფასს 15-ის შესაბამისად არ შეიცავს მნიშვნელოვან დაფინანსების კომპონენტს (ან როდესაც კომპანია იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას ხელშეკრულებებისთვის, რომელთა ხანგრძლივობა ერთი წელი, ან ერთ წელზე ნაკლებია), გაუფასურების ზარალის რეზერვი ყოველთვის ფასდება თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია. 1 წლით ან მეტი ვადით გადაუხდელობა სავაჭრო მოთხოვნებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით, ხოლო სხვა სავაჭრო მოთხოვნებზე -5%-დან 50%-მდე, თანხის გადაუხდელობის ხანგრძლივობიდან გამომდინარე.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე.

გაუფასურებული მოთხოვნის ჩამოწერა აისახება არსებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ანგარიშზე.

ი) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

კ) მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილი გადასახადების და წინასწარ გაწეული ხარჯების გარდა.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

ლ) აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ. 1 წლით ან მეტი ვადით გადახდილ სავაჭრო ავანსებზე გაუფასურებული ზარალი აღიარდება 100%-ის ოდენობით.

მ) ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას. ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

ნ) იჯარა

2015 წლის იანვარში, ბასსს-მა გამოუშვა ფასს 16 „იჯარა“, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიამ აღნიშნული სტანდარტის გამოყენება დაიწყო 2019 წლის 1 იანვრიდან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. ფასს 16-ის მოთხოვნის შესაბამისად მოიჯარე აღიარებს აქტივის „გამოყენების უფლებას“ და შესაბამის ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის ამორტიზება მოხდება იჯარის ვადის განმავლობაში და ფინანსური ვალდებულება შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოიჯარე ყველა აღიარებული იჯარისთვის იყენებს ერთიან მოდელს, თუმცა უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. მეიჯარის აღრიცხვა არსებითად იგივე რჩება, რასაც ბასს 17 ითვალისწინებდა.

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2019	31.12.2018
ფული სალაროში	17 213	10 826
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	137 380	28 760
	154 593	39 586

კომპანიას ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს 5 კომერციულ ბანკში - სს „პროკრედიტ ბანკი“, სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“, სს „ვითიბი ბანკი“, სს „ტერაბანკი“.

6. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2019	31.12.2018
ადგილობრივი დამკვეთები	519 013	474 346
არარეზიდენტი დამკვეთები	9 298	14 922
საექვო მოთხოვნების ანარიცხები	(86 595)	(43 853)
	441 715	445 416

კომპანიის ძირითად მომხმარებლებს შეადგენენ ფიზიკური პირები. კომპანია ახორციელებს საქონლის იმპორტს და მათ შემდგომ რეალიზაციას საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებული 19 მაღაზიის საშუალებით.

7. გადახდილი ავანსები

	31.12.2019	31.12.2018
ავანსები ადგილობრივ მომწოდებლებზე	61 815	37 958
ავანსები არარეზიდენტ მომწოდებლებზე	1 028 936	636 066
საექვო მოთხოვნების ანარიცხები გადახდილ ავანსებზე	(23 653)	(19 350)
	1 067 099	654 675

8. მარაგები

	31.12.2019	31.12.2018
გასაყიდად გამიზნული საქონელი	13 730 716	10 856 993
საქონელი მარკეტინგული მიზნებისთვის	78 992	38 996
საწვავის მარაგი	11 043	9 873
სხვა მარაგები	20 254	21 340
	13 841 006	10 927 202

9. გადასახადები

2016 წლამდე საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, საგადასახადო ორგანოში არსებობდა სხვადასხვა სააღრიცხვო ბარათები სხვადასხვა გადასახადების მიხედვით. შესაბამისად, შესამღებელი იყო, რომ ერთ გადასახადში კომპანიას ჰქონოდა გადასახადის ზედმეტობა, ხოლო მეორე გადასახადში - საგადასახადო დავალიანება.

2016 წლის დასაწყისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით გაერთიანდა გადასახადების ბარათები და საწარმოს დავალიანება/ავანსი ბიუჯეტის მიმართ ავტომატურად აისახება ერთიან საგადასახადო ბარათზე ჯამურად.

კომპანია ძირითადად ხუთი ტიპის გადასახადის გადამხდელია: საშემოსავლო გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი, მოგების გადასახადი და საბაჟო (იმპორტის) გადასახადი.

	31.12.2019	31.12.2018
საანგარიშგებო თარიღის შემდგომ		
დადეკლარირებული ან დასადეკლარირებელი გადასახადები	118 580	454 024
ჩასათვლელი აქტივები	(332 208)	(120 414)
გამოცხადებულ დივიდენდებზე დარიცხული გადაუხდელი მოგების გადასახადი	73	10 205
ერთიანი საგადასახადო ბარათი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	(171 220)	(211 306)
	(384 775)	132 509

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

მისი ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ელექტროგადამის მოწყობილო ხეზი	გათბობა-გაგრილების სისტემა	ავიჯი და ინვენტარი	კომპიუტერი ტექნიკა	ელექტრონული და სხვა მოწყობილობები	მსუბუქი ავტომობილები	სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ამორტიზებადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება												
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით												
1 130 621	10 037	7 006 654	104 582	350 165	318 316	179 166	1 226 656	943 065	223 198	537 255	109 639	12 139 354
-	429 393	31 738	-	-	8 395	18 106	317 556	219 949	66 719	71 385	680	1 163 923
-	(428 719)	-	-	-	-	(246)	(140)	(176 769)	-	-	-	(605 874)
გადაფასება												
-												
სულ ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით												
1 130 621	10 711	7 038 393	104 582	350 165	326 711	197 026	1 544 072	986 245	289 918	608 640	110 320	12 697 403
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება												
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით												
-	-	(1 580 059)	(61 413)	(137 839)	(283 873)	(140 667)	(1 058 028)	(545 028)	(120 913)	(462 590)	(74 199)	(4 464 611)
-	-	(351 126)	(7 178)	(35 016)	(9 844)	(14 114)	(119 688)	(145 636)	(30 309)	(23 006)	(5 475)	(741 392)
-	-	-	-	-	-	246	140	85 438	-	-	-	85 824
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით												
-	-	(1 931 186)	(68 591)	(172 855)	(293 717)	(154 535)	(1 177 576)	(605 226)	(151 222)	(485 596)	(79 674)	(5 120 179)
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით												
1 130 621	10 711	5 107 207	35 991	177 309	32 994	42 491	366 495	381 019	138 695	123 044	30 645	7 577 224

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობები	ელექტროგად ამწის მოწყობილობები	გათბობა- გაგრილების სისტემა	ავიჯი და ინვენტარი	კომპიუტერული ტექნიკა	ელექტრონული და სხვა მოწყობილობები	მსუბუქი ავტომობილები	სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,130,621	113,516	6,778,318	104,582	331,257	328,610	169,414	1,204,515	919,880	150,693	477,931	112,859	11,822,194
დამატება	-	426,204	228,337	-	20,171	10,044	24,771	49,153	23,185	72,505	59,324	6,451	920,144
(გასვლა)	-	(529,683)	-	-	(1,263)	(20,338)	(15,019)	(27,011)	-	-	-	(9,670)	(602,984)
გადაფასება													-
სულ ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,130,621	10,037	7,006,654	104,582	350,165	318,316	179,166	1,226,656	943,065	223,198	537,255	109,639	12,139,354
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება													
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	-	(1,231,730)	(53,047)	(104,345)	(266,894)	(136,116)	(899,297)	(365,957)	(98,701)	(419,294)	(73,582)	(3,648,962)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	-	-	(348,329)	(8,367)	(34,020)	(35,212)	(17,463)	(185,714)	(179,071)	(22,212)	(43,296)	(9,442)	(883,125)
ჩამოწერა			-	-	526	18,232	12,911	26,982	-	-	-	8,825	67,476
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	(1,580,059)	(61,413)	(137,839)	(283,873)	(140,667)	(1,058,028)	(545,028)	(120,913)	(462,590)	(74,199)	(4,464,611)
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,130,621	10,037	5,426,595	43,169	212,326	34,442	38,498	168,627	398,037	102,285	74,665	35,440	7,674,743

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი		ელექტროგადაცემის		ავიჯი და ინვენტარი	კომპიუტერი რული ტექნიკა	ელექტრონული		სხვა ავტოსატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული		სხვა ამორტიზებადი საშუალებები	სულ
		მოწყობილობები	გაგრილების სისტემა	ლი და სხვა მოწყობილობები	მსუბუქი ავტომობილები			ქონების კეთილმოწყობა	დი პირითადი					
ნარჩენი ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 130 621	10 711	5 107 207	35 991	177 309	32 994	42 491	366 495	381 019	138 695	123 044	30 645	7 577 224	
ნარჩენი ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 130 621	10 037	5 426 595	43 169	212 326	34 442	38 498	168 627	398 037	102 285	74 665	35 440	7 674 743	

11. სხვა გრძელვადიანი აქტივები

კომპანიის სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავს ძირითადად გამოყენების უფლების მქონე აქტივის ღირებულებას - 4,601,726 ლარისგან, სხვა აქტივები - 26,326 ლარი. გამოყენების უფლების მქონე აქტივი წარმოადგენს საიჯარო ფართებს, რომელიც გამოყენებულია სამალაზიე და სასაწყობე მიზნებისათვის. კომპანია მოკლევადიან იჯარებს აღრიცხავს მიმდინარე პერიოდის ხარჯებად.

	შენიშვნები
აქტივების გამოყენების უფლება 01.01.2019	5 090 913
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	(920 226)
<i>მათ შორის:</i>	
ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად	(920 226)
აქტივების გამოყენების უფლების მატება	431 040
აქტივების გამოყენების უფლება 31.12.2019	4 601 726

12. ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან

კომპანიის მიმდინარე სავაჭრო ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგია:

	31.12.2019	31.12.2018
რეზიდენტი მომწოდებლები	190 350	251 635
არარეზიდენტი მომწოდებლები	906 151	807 433
საიჯარო ვალდებულებები	933 959	
	2 030 459	1 059 068

13. მიღებული ავანსები

	31.12.2019	31.12.2018
ავანსები ადგილობრივი დამკვეთებისგან	2 262 133	452 955
	2 262 133	452 955

14. მიღებული გრძელვადიანი სესხები და მათი მიმდინარე ნაწილი

კომპანიას სს „პროკრედიტ ბანკი“-სგან მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხები - გრაფიკული სესხები და საკრედიტო ხაზები.

კომპანიის კუთვნილ აქტივებზე - მოძრავ ქონებაზე გირავნობა/ლიზინგის უფლება წარმოშობილი აქვს სს პროკრედიტ ბანკს (საქართველო) (ს/კოდი 204851197), რომლის საფუძველია მოძრავი ქონების გირავნობის ხელშეკრულება, #37593-011, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 17.06.2013. გირავნობის საგანს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში არსებული საბრუნავი საშუალებები (რეალიზაციისათვის განკუთვნილი 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთი). გირავნობით უზრუნველყოფილია #FW13.9 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოშობილი მოთხოვნა. გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ფარგლებია აღნიშნული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი. ასევე ს.ს. პროკრედიტ ბანკთან იპოთეკის ხელშეკრულებით დატვირთულია: შპს ახალი ნათების ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის #21-ში მდებარე კომერციული ფართები ს.კ. 05.28.05.008.01.564 და 05.28.05.008.01.566.

15. გადასახდელი დივიდენდები

	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი დივიდენდები	1 956	273 203
	<u>1 956</u>	<u>273 203</u>

გადასახდელი დივიდენდის ვალდებულება მოცემულია ფაქტობრივი გაცემის დროს დასაკავებელი 5%-იანი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

16. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

კომპანიის სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები დაკავშირებულია გამოყენების უფლების მქონე აქტივთან.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საიჯარო ვალდებულებები 01.01.2019	5 090 913
საიჯარო ვალდებულების მატება	565 933
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(628 798)
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯი	(1 779)
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი	(119 515)
ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ვალდებულების ზრდა/კლება	(184 803)
სულ ხარჯები:	(934 894)
<i>ხარჯები აღიარებული მიმდინარე პერიოდის ხარჯად</i>	<i>(934 894)</i>
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(1 466 906)
საიჯარო ვალდებულებები 31.12.2019	5 003 541
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი 31.12.2019	933 959
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები 31.12.2019	4 069 582

საიჯარო ვალდებულებების დაფარვის ვადების ანალიზი

	1 წლამდე	1-5 წლამდე	5-10 წლამდე	10 წელზე მეტი	სულ:
შენიშვნები	672 101	1 507 517	792 345	108 832	3 080 795

17. საწესდებო კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 2000 ლარს, რომელიც ფულადი ფორმით შევსებულია დამფუძნებლის მიერ. კომპანიას არ მოუხდენია საწესდებო კაპიტალის გაზრდა ან შემცირება დაარსების მომენტიდან.

18. შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან

	2019	2018
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	25 081 321	22 276 197
გაყიდული საქონლის უკან დაბრუნება	(168 747)	(84 626)
სხვა საოპერაციო შემოსავლები	18 442	21 641
	24 931 016	22 213 211

19. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2019	2018
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(14 567 162)	(12 948 161)
კომპენსაციის გარეშე მიწოდებული საქონლის ღირებულება	-	(62 794)
	(14 567 162)	(13 010 956)

20. მიწოდების ხარჯები

	2019	2018
რეკლამის ხარჯები	(539 806)	(628 508)
შრომის ანაზღაურება მიწოდებაზე	(3 036 660)	(2 661 790)
მარკეტინგული ხარჯები	(178 184)	-
გამოყენების უფლების მქონე აქტივების ამორტიზაცია	(920 226)	-
ფიზიკურ პირებზე გაცემული ანაზღაურება	-	(1 551)
კომპენსაციის გარეშე განაცემები	-	(99 062)
იჯარის ხარჯები	(121 293)	(1 070 036)
კომუნალური ხარჯები	(232 594)	(188 035)
სადაზღვევო ხარჯები მიწოდებაზე	(16 101)	-
საბანკო ხარჯები მიწოდებაზე	(101 630)	-
სამეურნეო ხარჯები მიწოდებაზე	(51 275)	(42 794)
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები მიწოდებაზე	(3 127)	(6 136)
საწვავის ხარჯები მიწოდებაზე	(85 102)	(74 425)
ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხარჯები	(43 266)	(37 600)
კომპიუტერის ხარჯები მიწოდებაზე	(16 590)	(11 506)
რემონტის ხარჯები მიწოდებაზე	(28 073)	(12 550)
დაცვის ხარჯები	(17 268)	(15 569)
მიწოდების სხვა ხარჯები	(116 491)	(130 388)
	(5 507 690)	(4 979 949)

იჯარის ხარჯები, კომუნალური ხარჯები და დაცვის ხარჯები ძირითადად დაკავშირებულია სამალაზიე ფართობთან.

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(877 909)	(802 556)
ინვენტარის ხარჯები	(1 889)	(3 988)
საკანცელარიო ხარჯები	(10 320)	(10 428)
კომუნიკაციის ხარჯები	(28 729)	(25 894)
საწვავის ხარჯები	(22 016)	(19 523)
კომპიუტერის ხარჯები	(16 590)	(11 506)
საკონსულტაციო ხარჯები	(185 782)	(127 129)
საგადასახადო ხარჯები	(66 815)	(69 761)
სადაზღვევო ხარჯები	(25 474)	(23 103)
საბანკო ხარჯები	(106 774)	(189 587)
მივლინების ხარჯები	(203 014)	(173 961)
წარმომადგენლობითი ხარჯები	(103 089)	(41 776)
საქველმოქმედო ხარჯები	(3 847)	(1 000)
სხვა ხარჯები	(50 932)	(91 397)
	(1 703 181)	(1 591 609)

22. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2019	2018
ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯები	(741 392)	(883 046)
არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯები	(29 631)	(29 790)
სავაჭრო მოთხოვნის გაუფასურების ხარჯები	(47 046)	(18 579)
მარაგების გაუფასურების ხარჯები	(18 541)	-
	(836 610)	(931 415)

23. ფინანსური ხარჯები

	2019	2018
საპროცენტო ხარჯები	(290 316)	(294 180)
სხვა ფინანსური ხარჯები	-	(52 543)
საიჯარო ვალდებულებებთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი	(628 798)	-
	(919 113)	(346 722)

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

24. მოგება (ზარალი) სავალუტო საკურსო სხვაობებიდან

2019 წელი

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	384	(25 753)	(25 370)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	200	(332)	(132)
სხვა აქტივები	-	(18)	(18)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	583	(26 103)	(25 519)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	38 001	(57 908)	(19 906)
გადასახდელი სესხები	139 383	(337 468)	(198 086)
სხვა ვალდებულებები	-	(184 803)	(184 803)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	177 384	(580 179)	(402 795)
სულ	177 967	(606 282)	(428 314)

2018 წელი

	დადებითი შედეგი	უარყოფითი შედეგი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	748	(23,475)	(22,727)
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	200	-	200
სხვა აქტივები	-	-	-
სულ საკურსო მოგება(ზარალი) აქტივებიდან:	948	(23,475)	(22,527)
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	58,485	(55,396)	3,090
გადასახდელი სესხები	320,270	(400,918)	(80,648)
სხვა ვალდებულებები	39	(72)	(33)
სულ საკურსო მოგება(ზარალი) ვალდებულებებიდან:	378,794	(456,385)	(77,591)
სულ	379,742	(479,861)	(100,118)

**25. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება
ვალდებულებების მოძრაობასთან - სესხები**

2019 წელი

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2018	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2019
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	3 919 400	(18 777 205)	-	139 383	19 322 880	(337 468)	4 663 161
სულ:	3 919 400	(18 777 205)	-	139 383	19 322 880	(337 468)	4 663 161

შპს „აბალი ნათება“

გამარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

2018 წელი

სასესხო და სხვა ფინანსური ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2017	გადახდა ფულადი სახსრებით	დაფარვა რეკლასიფიკაციით ან გადაკისრებით	დადებითი საკურსო სხვაობა	ვალდებულების აღება ფულადი სახსრების მიღებით	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2018
სასესხო ვალდებულება ფინანსური ინსტიტუტების წინაშე	4 275 036	(12 516 182)		320 270	12 079 898	(400 918)	3 919 400
სულ:	4 275 036	(12 516 182)	-	320 270	12 079 898	(400 918)	3 919 400

26. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - პროცენტები

2019 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2018	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2019
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	-	(290 316)		290 316		-
სულ:	-	(290 316)	-	290 316	-	-

2018 წელი

საპროცენტო ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2017	გადახდა	დადებითი საკურსო სხვაობა	პროცენტის დარიცხვა	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2018
გადასახდელი პროცენტები ფინანსური ინსტიტუტებისთვის	-	(294,180)		294,180		-
სულ:	-	(294,180)	-	294,180	-	-

27. საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეჯერება ვალდებულებების მოძრაობასთან - დივიდენდები

2019 წელი

დივიდენდის ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2018	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურსო სხვაობა	დივიდენდის განაწილება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2019
გადასახდელი დივიდენდები	273 203	(385 935)	(20 312)		135 000		1 956
სულ:	273 203	(385 935)	(20 312)	-	135 000	-	1 956

2018 წელი

დივიდენდის ვალდებულება	ვალდებულება 31.12.2017	გადახდა	დაკავებული გადასახადი	დადებითი საკურსო სხვაობა	დივიდენდის განაწილება	უარყოფითი საკურსო სხვაობა	ვალდებულება 31.12.2018
გადასახდელი დივიდენდები	562,368	(274,707)	(14,458)				273,203
სულ:	562,368	(274,707)	(14,458)	-	-	-	273,203

28. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების წინასწარი გაანგარიშება მიზნად ისახავს სავარაუდო ფასის მიახლოებით განსაზღვრას, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის გზით ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. ამასთან, გაურკვევლობის გათვალისწინებით და

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

სუბიექტური განსჯის მეშვეობით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იქნეს ინტერპრეტირებული, როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი ნასყიდობის გზით ან ვალდებულებათა გადაცემის მეშვეობით.

კომპანიამ განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები შეფასებითი ტექნიკის გამოყენებით. შეფასების ტექნიკების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც უნდა იქნეს მიღებული აქტივის გასაყიდად ან გადახდილი ვალდებულების გადაცემისთვის თანმიმდევრული ტრანზაქციის ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების დღეს. გამოყენებული შეფასებითი ტექნიკა არის დისკონტირებული ფულადი საშუალებების მოძრაობის მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალში ძირითადი თანხისა და დარიცხული პროცენტების ფულადი საშუალებების მოძრაობის საფუძველზე, რომელთა დისკონტირება ხდება ანგარიშების დღეს პროცენტის საბაზრო განაკვეთით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებით მათი საბალანსო ღირებულების ტოლია.

29. რისკების მართვა

მმართველობითი სისტემა

კომპანიის რისკისა და ფინანსური მართვის სისტემის მთავარი მიზანია დაცვა ისეთი მოვლენებისგან, რომლებიც აბრკოლებს კომპანიის მიზნების მიღწევას და შესაძლებლობების გამოყენებას. კომპანია აანალიზებს რისკების ეფექტური და ეფექტიანი მართვის სისტემის უდიდეს მნიშვნელობას. დანერგილია პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს კომპანიის რისკზე ორიენტირებულობას, რისკის მართვას, კონტროლსა და საქმიანობის სტანდარტებს.

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, კომპანია დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი ;
- ლიკვიდურობის რისკი ;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. კომპანია მართავს საკრედიტო რისკის დონეს, რომელზეც იგი პასუხისმგებელია საკრედიტო რისკის

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საერთო პოლიტიკით, რომელშიც შეფასებული და განსაზღვრულია, რა წარმოადგენს კომპანიისთვის საკრედიტო რისკს, რისკის ლიმიტი თითოეული კონტრაგენტის, გეოგრაფიული მდებარეობისა და საქმიანობის სფეროსთვის, გაქვითვის უფლება, როდესაც კონტრაგენტები ერთდროულად მოვალეები არიან და კრედიტორებიც.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ საწარმოს შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას საწარმოს მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი):

საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელსაც ატარებს პროცენტიანი აქტივი, როგორცაა სესხი, მცოცავი საპროცენტო განაკვეთის არსებობის გამო. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება, როდესაც მოცემული ვადიანობის ფაქტობრივი ან მოსალოდნელი აქტივები მეტია ან ნაკლებია იმავე ვადიანობის ფაქტობრივ ან მოსალოდნელ ვალდებულებებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაზე. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მგრძნობელობის ანალიზი

ლარის შესაძლო გამყარება/შესუსტება, როგორც ეს ქვემოთაა ნაჩვენები, ევროსა და აშშ დოლარის მიმართ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გავლენას მოახდენს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და კაპიტალზე და მოგება/ზარალზე გადასახადების შემდეგ ქვემოთ მოცემული თანხების ოდენობით. სავალუტო დინამიკა პირდაპირ გავლენას არ მოახდენს სხვა მთლიან შემოსავალსა თუ კაპიტალზე.

ანალიზის თანახმად ივარაუდება, რომ ყველა სხვა ცვლადები, განსაკუთრებით საპროცენტო განაკვეთები, რჩება უცვლელი და არ ითვალისწინებს პროგნოზული გაყიდვების და შესყიდვების ზემოქმედებას.

31.12.2019

	EUR	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	3	10	12
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	9 298	-	9 298
აქტივები სულ:	9 301	10	9 311
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(493 319)	(412 832)	(906 151)
მიღებული სესხები	(1 734 008)	(2 929 153)	(4 663 161)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	(1 536 782)	(1 536 782)
ვალდებულებები სულ:	(2 227 327)	(4 878 766)	(7 106 093)
ნეტო შედეგი	(2 218 027)	(4 878 756)	(7 096 783)
USD (10% ცვლილება)	(487 876)		
EUR (10% ცვლილება)	(221 803)		

31.12.2018

	EUR	USD	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	7	9
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	14 922	-	14 922
აქტივები სულ:	14 925	7	14 931
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	(517 977)	(289 402)	(807 378)
მიღებული სესხები	(1 568 421)	(1 635 991)	(3 204 412)
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-	-
ვალდებულებები სულ:	(2 086 398)	(1 925 392)	(4 011 790)
ნეტო შედეგი	(2 071 473)	(1 925 386)	(3 996 859)
USD (10% ცვლილება)	(192 539)		
EUR (10% ცვლილება)	(207 147)		

30. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით, მხარეები ითვლებიან დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. შესაძლო დაკავშირებული მხარეების თითოეული შემთხვევის განხილვისას ყურადღება უნდა მიექცეს არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას, არამედ იმასაც, თუ როგორია მათ შორის ურთიერთობა. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ განხორციელდეს იმავე პირობებზე და თანხებზე, როგორზეც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

განხორციელებული ტრანზაქციები

პარტნიორთან და ძირითად მენეჯმენტთან

1 ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	დაუფარავი ნაშთი 31.12.2018	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	304	-		
დივიდენდები	1 956	273 203	(366 473)	(289 165)
შემოსავალი რეალიზაციიდან			-	128
იჯარის ხარჯები			(128 136)	(128 136)
ხელფასის ხარჯები			(23 817)	(251 562)
მივლინების ხარჯები			(42 812)	(27 818)

ტრანზაქციები სხვა დაკავშირებულ

მხარეებთან

1 ლარის სიზუსტით

	დაუფარავი ნაშთი 31.12.2019	დაუფარავი ნაშთი 31.12.2018	ტრანზაქციის ღირებულება 2019 წელი	ტრანზაქციის ღირებულება 2018 წელი
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	235	265		
გადახდილი ავანსები	944	-		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან	-	1 056		
წარმოქმნილი ვალდებულებები				
სხვა საოპერაციო შემოსავლები			2 835	2 894
მარაგები			15 894	8 932
ძირითადი საშუალებები			18	-
იჯარის ხარჯები			(239 390)	(203 390)
ხელფასის ხარჯები			(83 256)	(81 191)
მივლინების ხარჯები			(31 256)	(25 114)

31. გაუთვალისწინებელი გარემოებები

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ახალი კორონავირუსი (COVID-19), რომელმაც გავრცელება დაიწყო 2020 წლის იანვრიდან და რამდენიმე კვირაში მიიღო გლობალური პანდემიის სახე, სხვა ფაქტორებთან ერთად,

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მსოფლიოს ახალი ეკონომიკური და საზოგადოებრივი კრიზისის დაწყების ძირითადი მიზეზია, რამაც ფაქტიურად ეკონომიკის ყველა სფერო მოიცვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ასეთ ქვეყნებს შორის არის საქართველოც და გამომდინარე იქიდან, რომ ქვეყნის ეკონომიკა საკმაოდ სუსტია და არ არის სტაბილური, არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვნად შეაფერხებს ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას უახლოეს თვეებში. პანდემიით მიყენებული შესაძლო ზიანის მასშტაბების შემცირების მიზნით გატარებული ღონისძიებების გამო, ნაწილობრივ გაჩერებულია ეკონომიკური საქმიანობა. მიუხედავად ამისა, კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

სახელმწიფოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კომპანიის ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვით გამოწვეულ უარყოფით ეფექტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2020 წლის 20 მარტიდან 10 მაისის ჩათვლით, რა დროსაც შეჩერებული/შეზღუდული იყო კომპანიის კომერციული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. ამ პერიოდში კომპანიამ ვერ მიიღო გარკვეული შემოსავლები, თუმცა ცალსახად იმუშავა ე.წ. „მოთხოვნის დაგროვების ეფექტმა“, რაც მყისიერად აისახა სავაჭრო ობიექტების გახსნისთანავე და მომეტებულად მაღალი ნავაჭრი დაფიქსირდა შემდგომ თვეებში.

ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ზემოთ აღწერილი ნეგატიური მოვლენების შემდეგ, რაც კომპანიის ფუნქციონირებადობის შეფასებისას ცალსახად პოზიტიური შედეგისაა, ატრიალებს სურათს, არის ის დროული და ეფექტური დივერსიფიკაცია, რაც განახორციელა კომპანიამ მსხვილი და საშუალო პროექტების განხორციელების კუთხით. სწორედ ეს დროული გადაწყობა და ალტერნატიული შესაძლებლობები აღმოჩნდა ის ფაქტორი, რამაც გაანეიტრალა პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ფაქტორები, შედეგად კომპანიის მიერ საცალო ვაჭრობიდან დაკლებული შემოსავლები შეავსო საპროექტო ოპერაციებიდან მიღებულმა შემოსავლებმა და ჯამში 2020 წლის გასულ პერიოდთან შედარების შედეგად, შემოსავლების ჭრილში კომპანიას აქვს არათუ კლება, არამედ 12%-იანი ზრდა.

დამატებით შეიძლება აღინიშნოს, რომ კომპანიას აქვს მყარი ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია ბაზარზე, რაც არის სტაბილური და დინამიური განვითარების საფუძველი სამომავლოდ, რაც საშუალებას იძლევა, ითქვას, რომ ვირუსმა მის საქმიანობაზე ვერ მოახდინა ისეთი ზიანის მიყენება, რომელიც მისი ფუნქციონირებისა და არსებობის პრობლემას შექმნიდა.

სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას მნიშვნელოვანი სასამართლო დავები არ გააჩნია.

სხვა გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ამის გამო ახასიათებს ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები. ეს ცვლილებები ზოგჯერ ბუნდოვან ან აურთიერთგამომრიცხავ ხასიათს ატარებენ, რითიც საგადასახადო ორგანოებს საშუალებას აძლევენ მოახდინონ ამ ცვლილებების სხვადასხვანაირი ინტერპრეტირება, რის გამოც კომპანიას სხვადასხვა ხასიათის ჯარიმების თუ საურავების დაკისრების საფრთხე ექმნება.

ეს გარემოებები ქმნიან ისეთ საგადასახადო რისკს, რომელიც შესაძლოა უფრო მაღალია საქართველოში, ვიდრე სხვა ქვეყნებში. თუმცა, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

32. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანია მთლიანობაში საქმიანობის ყველა მიმართულებით ვითარდება დამაჯერებლად, ინარჩუნებს ზრდას როგორც შემოსავლების კუთხით, ასევე ბაზარზე პოზიციონირების მხრივ, რაზეც მიუთითებს ახალი დამკვეთების გამოჩენა, ახალი და განსხვავებული ტიპის პროექტებში კომპანიის დამაჯერებელი წარმატება, რისი საშუალებაც მისცა საპროექტო სამონტაჟო სამსახურის გუნდის გაძლიერებამ, რის შედეგადაც კომპანიამ შეძლო ახალ განზომილებაზე გადასვლა. კერძოდ, 2019 წლის ბოლოდან და განსაკუთრებით 2020 წელს განახორციელა მსხვილი საპროექტო სამონტაჟო სამუშაოები.

2020 წლის იანვარში ქ.თბილისში შეძენილ იქნა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი # 01.19.19.003.176) ფართობით 961 კვ.მ.

2020 წლის მარტში გამოცხადებულ იქნა დივიდენდი 250,000 ლარის ოდენობით, რომლის ათვისება უნდა მოხდეს 2020 წლის დასრულებამდე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოხსნილია კომპანიის კუთვნილ აქტივებზე - მოძრავ ქონებაზე გირავნობა/ლიზინგის უფლება, რომელიც წარმოშობილი იყო სს პროკრედიტ ბანკის (საქართველო) (ს/კოდი 204851197) მიერ. გირავნობის საგანს წარმოადგენდა კომპანიის საკუთრებაში არსებული საბრუნავი საშუალებები (რეალიზაციისათვის განკუთვნილი 500 000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ღირებულების სასაქონლო ნაშთი). გირავნობით უზრუნველყოფილი იყო #FW13.9 გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით წარმოშობილი მოთხოვნა. გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის ფარგლები იყო აღნიშნული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარი. ასევე ს.ს. პროკრედიტ ბანკთან იპოთეკის ხელშეკრულებით დატვირთული იყო: შპს ახალი ნათების ქ. ბათუმში, ჭავჭავაძის #21-ში მდებარე კომერციული ფართები ს.კ. 05.28.05.008.01.564 და 05.28.05.008.01.566.

შპს „ახალი ნათება“

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, 2020 წლის 25 სექტემბრამდე ადგილი ჰქონდა შემდეგ მნიშვნელოვან არამაკორექტირებელ მოვლენას - მოხდა ეროვნული ვალუტის გაუფასურება აშშ დოლარისა და ევროს მიმართ. კერძოდ, 2020 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

1 USD=3.2897ლარი; 1 EUR=3.8292 ლარი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სხვა ისეთ მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებიც შეიძლება იწვევდეს ფინანსური ანგარიშგების მუხლების შესწორებას ან განმარტებითი შენიშვნების დამატებას, ადგილი არ ჰქონია.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და გამოსაცემად ნებადართულია 2020 წლის 25 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „ახალი ნათების“ 2019 წლის მმართველობის ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

კომპანიის დაარსების ისტორია და ძირითადი ინფორმაცია დამფუძნებლების, დირექტორებისა და სამართლებრივი სტატუსის შესახებ

კომპანია „ახალი ნათება“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 202066156) დაარსდა 1999 წელს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სამართლებრივი სტატუსით ზურაბ გაბინაშვილისა და ირმა გაბინაშვილის მიერ თანაბარი წილობრივი მონაწილეობით, საწესდებო კაპიტალით 2000 ლარი.

კომპანიის გენერალური დირექტორი დაარსების დღიდან არის ზურაბ გაბინაშვილი. 2011 წელს კომპანიის აღმასრულებელ დირექტორად დაინიშნა თემურ არდოტელი, რომელიც კომპანიის გენერალურ დირექტორთან ერთად მართავს კომპანიას. ორივე დირექტორი საზოგადოებას წარმოადგენენ როგორც ცალ-ცალკე ერთპიროვნულად, ასევე ერთად.

2012 წელს სარეგისტრაციო მონაცემებში განხორციელდა ცვლილებები და კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორი გახდა ზურაბ გაბინაშვილი.

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა

კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი რგოლებისა და მათი ხელმძღვანელების/კოორდინატორების სახით: კომერციული განყოფილება, ფინანსური განყოფილება, მარკეტინგის განყოფილება, პროექტების განყოფილება, იურიდიული განყოფილება, სამეურნეო განყოფილება, IT განყოფილება, შიდა მონიტორინგისა და უსაფრთხოების განყოფილება, კადრების მართვისა და კოორდინაციის განყოფილება, სასაქონლო მარაგების მართვისა და ლოჯისტიკის განყოფილება.

ქვედა რგოლის მენეჯმენტს შეადგენენ ფილიალების მენეჯერები, რომლებიც ახორციელებენ ფილიალების ოპერატიულ მართვას შესაბამისი ლოკაციების მიხედვით.

კომპანიის მისია და საქმიანობის მიზანი

შპს „ახალი ნათების“ მისია არის მაღალი ხარისხის სერვისთან ერთად თანამედროვედ მოწყობილ კონცეპტუალური შოურუმების მეშვეობით მომხმარებელს შესთავაზოს უმაღლესი ხარისხისა და უახლესი ტექნოლოგიებით წარმოებული პროდუქციის ფართო სპექტრი, რომელიც პასუხობს თანამედროვე ტენდენციებს განათების, ავეჯისა და აქსესუარების ინდუსტრიაში. ამ მხრივ კომპანია სისტემატურად დგამს აქტიურ ნაბიჯებს. სერვისის გაუმჯობესების მიზნით წელიწადში რამოდენიმეჯერ ხორციელდება საკადრო პერსონალის გადამზადება როგორც საქართველოში, ასევე უცხოეთში. სისტემატურად ხდება აქტუალურ საერთაშორისო გამოფენებზე შესაბამისი

პროფილის სპეციალისტების მივლინება, რათა მუდმივად ხორციელდებოდეს თანამედროვე კოლექციების პრეზენტაცია ჩვენს შოურუმებში.

კომპანიას აქვს უახლესი IT ტექნოლოგიების გათვალისწინებით დანერგილი ონლაინ რესურსები, როგორებიცაა: IOS და Android-ის სისტემებისთვის შექმნილი მულტიფუნქციური მობილური აპლიკაცია; ვებგვერდი, რომელშიც ინტეგრირებულია სასაქონლო მარაგების შესახებ ინფორმაცია, რაც ხელსაყრელ პლატფორმას ქმნის ონლაინ კომერციისთვის; პროდუქციის ადგილზე მიტანის სერვისი; საგარანტიო მომსახურება; თანამედროვე სააღრიცხვო პროგრამები; მყარი ლოჯისტიკური პლატფორმა, რომელიც შედგება საკუთარი მძლავრი სასაწყობე ინფრასტრუქტურისაგან და ავტოპარკისაგან.

ძირითადი საკითხების მიმოხილვა

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გამანათებელი საშუალებების, ავეჯისა და აქსესუარების იმპორტი და რეალიზაცია. სამიზნე სამომხმარებლო სეგმენტს წარმოადგენს საცალო ქსელი და კერძო კორპორატიული სექტორი. განათების სფეროში 21 წლიანი მოღვაწეობის გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ბაზარზე კომპანია ძლიერად არის წარმოდგენილი და ბრენდის ცნობადობა და პოზიციონირებაც მასშტაბურია. ავეჯისა და აქსესუარების სეგმენტში კომპანიამ დივერსიფიცირება გააკეთა 2013 წლის მიწურულს, ჩამოაყალიბა ბრენდი „ფორუმი ახალი ნათებისაგან“, რომლის მასშტაბები, ცნობადობა და პოზიციებიც ბაზარზე წლიდან წლამდე იზრდება და ვითარდება.

კომპანია ბაზარზე ფართო სავაჭრო ქსელით არის წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს ცხრამეტ სავაჭრო ობიექტს თბილისსა და რეგიონებში. მათგან თხუთმეტი წარმოადგენს განათების შოურუმს, ხოლო ოთხ სავაჭრო პავილიონში ინტეგრირებულია განათება, ავეჯი და აქსესუარები. ფილიალების ფართო ქსელი კომპანიას შესაძლებლობას აძლევს გააძლიეროს ბაზარზე პოზიციონირების გეოგრაფიული არეალი და გააუმჯობესოს მომხმარებელთან წვდომა.

ასევე კონკურენტულ უპირატესობას ქმნის მძლავრი საკუთარი სასაწყობო ინფრასტრუქტურა და სასაქონლო მარაგები, რაც უზრუნველყოფს მომხმარებელთა მოთხოვნების ოპერატიულად დაკმაყოფილებას. განვითარებული მომსახურების სერვისი, საგარანტიო მომსახურება, მრავალფეროვანი მარკეტინგული აქტივობები მომხმარებელთან მაქსიმალური დაახლოების შესაძლებლობას ქმნის.

პროდუქციის ვრცელი ასორტიმენტი და მრავალფეროვანი არჩევანი, როგორც დიზაინის ისე საფასო კატეგორიის კუთხით, სხვადასხვა გემოვნებისა და მსყიდველობითუნარიანი მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების მაქსიმალურ შესაძლებლობას იძლევა.

კომპანია თანამშრომლობს ევროპისა და აზიის 100-ზე მეტ სხვადასხვა მომწოდებელთან, მათ შორის ისეთ წამყვან მსოფლიო ბრენდებთან, როგორებიცაა PHILIPS, ARTEMIDE, DELTA LIGHT, EGLO, OSRAM, OPPLÉ, GAUTIER, HULSTA, VONDOM, KOINOR, HACKER, STAINHOFF, FARO BARCELONA და სხვა.

კომპანიის სავაჭრო ნიშნები „ახალი ნათება“, „New Light“, „ფორუმი ახალი ნათებისაგან“, „Forum by New Light“ რეგისტრირებულია „საქპატენტში“.

შპს „ახალი ნათება“ მომხმარებელზე ორიენტირებული კომპანიაა, რომლისთვისაც რეპუტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ისევე როგორც ძირითადში ყველა რითეილ სექტორზე ორიენტირებული კომპანიისთვის, რომელსაც აქვს ხანგრძლივი მოღვაწეობის ისტორია და მზარდი განვითარების დინამიკა. შედეგად კომპანია უკომპრომისოდ აქცენტს აკეთებს ხარისხიანი პროდუქციის წარდგენასა და მომხმარებელთან კეთილსინდისიერი ურთიერთობის დამყარებაზე.

ბრენდის განვითარების მხრის სისტემატური ზრუნვის საგანია თანამედროვე სერვისების დანერგვა და განვითარება, თამამი გადაწყვეტილების მიღება და ინოვაციური ნაბიჯების გადადგმა.

მართვის მაქსიმალურად მოქნილი და ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის კომპანიის სხვადასხვა რგოლებისთვის გაწერილი და ჩამოყალიბებულია საოპერაციო სტანდარტები და პროცედურები. სწრაფი ოპერირებისათვის აქტიურად გამოიყენება IT ტექნოლოგიები, რომლებიც ხელს უწყობენ დავალებების სწრაფ შესრულებას, ინფორმაციის ეფექტიან მიმოცვლას სხვადასხვა რგოლებს შორის (საწყობი-გაყიდვები-შესყიდვები-ადმინისტრაცია).

კომერციულ განყოფილებაში ფუნქციონირებს მარაგების ანალიტიკური კვლევის ჯგუფი, რომელიც მუდმივ რეჟიმში აკვირდება სასაქონლო მარაგების ზრუნვას და უზრუნველყოფს ლიკვიდური მარაგების დადგენას, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს შესყიდვების გუნდს განახორციელოს მათი ბაზარზე შეუფერხებელი მიწოდება.

დასაქმებულთა წახალისებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით სისტემატურ რეჟიმში ხორციელდება მატერიალური წახალისება (ბონუსები, პრემიები), პერიოდულად - სხვადასხვა სასწავლო პროგრამების სწავლის სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება, უტარდებათ ტრენინგები კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით როგორც ადგილზე, ასევე უცხოეთში, დამსახურების მიხედვით ხორციელდება შესაბამისი კადრების დაწინაურება.

კომპანიის ზრდასთან ერთად შესაბამისად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობაც, ამჟამად 200-მდე თანამშრომელია დასაქმებული. კომპანიის მხრიდან ყველა დასაქმებული უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაზღვევით.

შპს „ახალი ნათება“ აქცენტს აკეთებს ბაზარზე ეკოლოგიური და ენერგოეფექტური პროდუქციის აქტიურ დანერგვაზე, ასევე მის მიერ საკუთარი მოხმარებისთვის განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებშიც მაქსიმალურად გამოყენებულია ამ ტიპის ტექნოლოგიები.

კომპანიის მთლიანი ინფრასტრუქტურა აღჭურვილია დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემებით, პერმანენტულად ახლდება შესაბამისი ინვენტარი და ტექნოლოგიები. 24-საათიანი თანამედროვე ციფრული ვიდეო სამეთვალყურეო სისტემა უზრუნველყოფს უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალურ დაცვას.

მოწვეულ სპეციალისტთან ერთად, საერთაშორისო გამოცდილებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, აგრეთვე ადგილობრივი კანონმდებლობის მოთხოვნების მიხედვით შემუშავებული და დანერგილია შრომის უსაფრთხოების პროცედურები და სტანდარტები.

მძლავრი სასაწყობე-ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა კომპანიის განვითარების მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი. ამ მხრივ ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი ინვესტიციების შედეგად კომპანიას აქვს 5 000 კვადრატულ მეტრზე მეტი, სათანადო ინვენტარით აღჭურვილი საკუთარი სასაწყობე ინფრასტრუქტურა. მძლავრი და თანამედროვე ავტოპარკი კი უზრუნველყოფს პროდუქციის ოპერატიულ მიმოქცევას ფილიალებს შორის და მომხმარებელთან ადგილზე მიწოდების ეფექტურ სერვისს.

ფილიალების შესახებ ინფორმაცია

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას გააჩნდა 19 (ცხრამეტი) მაღაზია-სალონი. ამათგან 12 (თორმეტი) მდებარეობს ქ. თბილისში, ხოლო 7 (შვიდი) - საქართველოს სხვა რეგიონებში.

ფილიალები, სადაც წარმოდგენილია ავეჯი, განათება და აქსესუარები:

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ., დაარსების თარიღი - 2013 წელი;

„გოტიე“ - ფრანგული ავეჯის ბრენდის „გოტიეს“ ფრენშიაზ შოურუმი; მისამართი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ., დაარსების თარიღი - 2017 წელი;

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - მისამართი: ქ. თბილისი, თვალჭრელიძის #2, ისტპოინტის სავაჭრო ცენტრი დაარსებულია 2019 წელს;

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - ბათუმის ფილიალი, მისამართი: ქ. ბათუმი, ხიმშიაშვილის #1, დაარსებულია - 2015 წელს;

„ფორუმი ახალი ნათებისაგან“ - ბათუმის ფილიალი, მისამართი: ქ. ბათუმი, ყოფილი მანქანათმშენებელი ქარხნის ტერიტორია (შავი ზღვის მოლი), დაარსებულია - 2019 წელს.

ფილიალები, სადაც წარმოდგენილია გამანათებელი საშუალებები:

ახალი ნათების ცენტრალური სავაჭრო პავილიონი - მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი 12 კმ., დაარსებულია 2006 წელს;

ქ. თბილისი, თვალჭრელიძის #2, ისტპოინტის სავაჭრო ცენტრი დაარსებულია 2019 წელს;

ქ. თბილისი, თვალჭრელიძის #2, ისტპოინტის სავაჭრო ცენტრი- „ფორუმი ახალი ნათება“;

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 25ა, დაარსებულია 2001 წელს;

ქ. თბილისი, კავსადის ქ. #3, დაარსებულია 2014 წელს;

ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. #116, დაარსებულია 2009 წელს;

ქ. თბილისი, დიდუბის (ყიფიანის) ქ. #6, დაარსებულია 1999 წელს;

ქ. თბილისი, შეშელიძის ქ. #45, დაარსებულია 2012 წელს;

ქ. თბილისი, წულუკიძის #11, დაარსებულია 2009 წელს;

ქ. თბილისი, ელიავას ბაზრობის ტერიტორია, სავაჭრო ცენტრი GA, დაარსებულია 1999 წელს, (ლოკაცია შეიცვალა 2011 წელს);

ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის #76, დაარსებულია 2017 წელს;

ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის #21, დაარსებულია 2006 წელს (ლოკაცია შეიცვალა 2008 წელს);

ქ. ფოთი, ფარნავაზ მეფის #1, დაარსებულია 2011 წელს;

ქ. ქუთაისი, აღმაშენებლის #7, დაარსებულია 2007 წელს;

ქ. გორი, სტალინის #8, დაარსებულია 2007 წელს (ლოკაცია შეიცვალა 2014 წელს).

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები და მათი დინამიკა შემდეგნაირად გამოიყურება:

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომპანია წარმოადგენს კანონით განსაზღვრულ მეორე კატეგორიის საწარმოს.

2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენს 15,1 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 16.1 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 12.3 მილიონი ლარი.

2018 წლის ბოლოსათვის, კომპანიის კაპიტალი შეადგენს 14.1 მილიონ ლარს, მოკლევადიანი აქტივების ღირებულება - 12.2 მილიონ ლარს, ხოლო გრძელვადიანი აქტივების ღირებულებამ ამავე პერიოდისთვის შეადგინა 7.8 მილიონი ლარი.

კომპანიის ამონაგებმა 2019 წელს - 24.9 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს - 22.2 მილიონი ლარი.

2019 წლის სახელფასო ფონდმა 3.9 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო 2018 წელს 3.4 მილიონი ლარი.

ბიუჯეტში გადასახადების სახით კომპანიას 2019 წელს გადახდილი აქვს 5,4 მილიონი ლარი, ხოლო 2018 წელს 4.4 მილიონი ლარი.

რისკების მხრივ, როგორც იმპორტიორი კომპანიისთვის, ზოგადად გამოკვეთილად სენსიტიურად სავალუტო კურსის დევალვაციას განვიცდიდით, თუმცა 2020 წელს Covid-19-ით გამოწვეულმა მოვლენებმა და მსოფლიო პანდემიამ აქამდე ჩვენთვის უცხო, გაურკვეველი და მასშტაბური გამოწვევების წინაშე დააყენა მთელი მსოფლიო, სრულიად საზოგადოება და ბიზნესის სფერო. რალათქმუნდა ამ მოვლეს მიღმა ვერც ჩვენი კომპანია აღმოჩნდებოდა. ბუნებრივია, რომ მთლიანობაში ეკონომიკის რეცესიისას ჩვენი ტიპის სამომხმარებლო საქონელზე მოთხოვნა მცირდება მსყიდველობითუნარიანობის შემცირების გამო, თუმცა უფრო ჩაღრმავებისას მკაფიო ფაქტორებად გამოვყოფდი ორ საკითხს: პირველი იმ მოწყვლადი ინდუსტრიების გაჩერება (ტურიზმის სექტორი - რესტორნები, სასტუმროები) რომლებიც ძირითადი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ, მათი დიდი ნაწილიც ჩვენი მომხმარებლებიც იყვნენ. ხოლო მეორე ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვით გამოწვეული უარყოფითი ეფექტი, რომელიც განხორციელდა Covid-19-ის გავრცელების აუცილებელი პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში 2020 წლის 20 მარტიდან 10 მაისის ჩათვლით პერიოდში, რა დროსაც შეჩერებული/შეზღუდული გვქონდა კომერციული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა. თუმცა აქვე აღსანიშნავია ასევე, რომ ბაზარზე იმუშავა ე.წ. „მოთხოვნის დაგროვების ეფექტმა“, რაც მყისიერად აისახა სავაჭრო ობიექტების გახსნისთანავე და მომეტებულად მაღალი ნავაჭრები დაფიქსირდა მაისი-ივნისის თვეებში. აქვე აღსანიშნავია ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტი ყოველივე ზემოთ აღწერილი ნეგატიური ასპექტების შემდეგ, რაც კომპანიის ფუნქციონირებადობის შეფასებისას ცალსახად პოზიტიური

შედეგისაკენ ატრიალებს სურათს გახლავთ, ის დროული და ეფექტური დივერსიფიკაცია, რაც განხორციელა კომპანიამ მსხვილი და საშუალო პროექტების განხორციელების კუთხით. 2019 წლის ბოლო და 2020 წელი ჩვენ გამოვიყენეთ იმისათვის, რომ სათანადო კვალიფიკაციის უნარების გუნდის მობილიზება მოვახდინეთ საპროექტო-ტექნიკური დაკვეთების შესასრულებლად. სწორედ ეს დროული გადაწყობა და ალტერნატიული შესაძლებლობის პოვნა აღმოჩნდა ის ფაქტორი რამაც შედარებით გაანეიტრალა პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ფაქტორები. შედეგად კომპანიამ შეივსო არამარტო „დაპაუზებული“ ეკონომიკური საქმიანობის დროს დაკლებული შემოსავლები, არამედ ჯამში ამ მომენტისათვის მიმდინარე მონაცემებით შემოსავლების ჭრილში 2020 წლის გასული პერიოდის შედარებას თუ მოვახდენთ 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან, ამონაგების კუთხით გვაქვს არათუ კლება, არამედ 12 %-იანი მატება

დამატებით დავძენ, რომ კომპანიას აქვს მყარი ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია ბაზარზე, რაც არის სტაბილური და დინამიური განვითარების საფუძველი სამომავლოდ. მიუხედავად შესაძლო ნეგატიური მოლოდინებისა, არ შეგვიზღუდია სასაქონლო მარაგებში ინვესტიციები, რეგულარულად ვიღებთ ახალ კოლექციებს, ასევე შეუფერხებლად ვაგრძელებთ გრძელვადიან საინვესტიციო პროექტებზე მუშობას რომელიც ეხება ჩვენი ინფრასტრუქტურის გაზრდას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადართავებას, საკადრო შემადგენლობის განვითარებასა და მოტივაციის კიდევ უფრო გაძლიერებას, ეს ყოველივე კომპანიის სამომავლო დამაჯერებელი და სტაბილური წინსვლის ამოცანებს ემსახურება რაც საშუალებას მოგვცემს, რომ კრიზისის შემდგომ ეკონომიკის დაგროვილ მოთხოვნას ბაზარზე მომზადებული შევხვდეთ და კონკურენტული უპირატესობა უფრო დამაჯერებელი გავხადოთ, მოგეხსენებათ ყოველი რეცესიის შემდგომ იწყება აღმასვლა, ეს გარდაუვალი კანონზომიერებაა.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ახალი ნათების“ გენერალური დირექტორის ზურაბ გაბინაშვილისა და აღმასრულებელი დირექტორის თემურ არდოტელის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს:

ზურაბ გაბინაშვილი

თემურ არდოტელი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობას და კაპიტალის ცვლილებას 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და განმარტებით შენიშვნებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულად შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- განსჯასთან და შეფასებებთან დაკავშირებულ მართებული და გონივრული გადაწყვეტილებების მიღებაზე;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც გარემოებები ამას შეუძლებელს ხდის.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ეფექტიანი და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ასევე ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის მოთხოვნებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობის, შეცდომებისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის დადასტურებულია ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია მისი სახელით 2020 წლის 25 სექტემბერს:

აღმასრულებელი დირექტორი _____ თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი _____ თეა გიგიაშვილი



შპს „ახალი ნათება“

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

გვერდი 5

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილი - საქმიანობის მიმოხილვა შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

გარიგების პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგად გაიცა აღნიშნული დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა:

გიორგი ცერცვაძე

შპს აუდიტური კონცერნი „ცოდნისა“

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 41.

25 სექტემბერი, 2020 წელი



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	31.12.2019	31.12.2018	შენიშვნა
მიმდინარე აქტივები:			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	154 593	39 586	5
მოთხოვნები მიწოდებებიდან და მომსახურებიდან	441 715	445 416	6
გადახდილი ავანსები	1 067 099	654 675	7
მარაგები	13 841 006	10 927 202	8
წინასწარ გადახდილი გადასახადები	594 137	123 103	9
სხვა მიმდინარე აქტივები	40 502	34 704	
მიმდინარე აქტივები სულ:	16 139 053	12 224 686	
გრძელვადიანი აქტივები :			
ძირითადი საშუალებები	7 577 224	7 674 743	10
არამატერიალური აქტივები	82 486	104 007	10
ბიოლოგიური აქტივები	43 914	39 580	
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4 627 962	29 081	11
გრძელვადიანი აქტივები სულ:	12 331 585	7 847 411	
აქტივები სულ:	28 470 638	20 072 097	
მიმდინარე ვალდებულებები:			
მიწოდებებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	2 030 459	1 059 068	12
მიღებული ავანსები	2 262 133	452 955	13
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	739 053	714 988	14
გადასახდელი გადასახადები	209 362	255 612	9
გადასახდელი დივიდენდები	1 956	273 203	15
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	155 992	16 731	
მიმდინარე ვალდებულებები სულ:	5 398 956	2 772 557	
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
მიღებული გრძელვადიანი სესხები	3 924 108	3 204 412	14
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	4 069 582	-	16
გრძელვადიანი ვალდებულებები სულ:	7 993 690	3 204 412	
ვალდებულებები სულ:	13 392 646	5 976 969	
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	2 000	2 000	17
გაუნაწილებელი მოგება	15 075 992	14 093 128	
მ.შ. მიმდინარე წლის მოგება	1 117 864	1 333 367	
კაპიტალი სულ:	15 077 992	14 095 128	
ვალდებულებები და კაპიტალი სულ:	28 470 638	20 072 097	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი -----

თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი -----

თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 40-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2019	2018	შენიშვნა
შემოსავალი მომსახურებიდან და რეალიზაციიდან	24 931 016	22 213 211	18
რეალიზებული საქონლის ღირებულება	(14 567 162)	(13 010 956)	19
საერთო მოგება	10 363 854	9 202 256	
მიწოდების ხარჯები	(5 507 690)	(4 979 949)	20
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1 703 181)	(1 591 609)	21
სხვა საოპერაციო ხარჯები	(836 610)	(931 415)	22
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	2 316 374	1 699 283	
ფინანსური შემოსავალი	-	29 441	
ფინანსური ხარჯები	(919 113)	(346 722)	23
მოგება / (ზარალი) საკუროს სხვაობებიდან	(428 314)	(100 118)	24
სხვა არასაოპერაციო მოგება / (ზარალი)	153 961	51 484	
ზარალი არასაოპერაციო საქმიანობიდან	(1 193 467)	(365 916)	
მოგება დაბეგვრამდე:	1 122 907	1 333 367	
მოგების გადასახადის ხარჯი	(5 043)	-	
მოგება დაბეგვრის შემდეგ :	1 117 864	1 333 367	
სულ საანგარიშო პერიოდის სრული მოგება:	1 117 864	1 333 367	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 40-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2017-თვის	2 000	12 759 762	12 761 762
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	1 333 367	1 333 367
ნაშთი 31.12.2018-თვის	2 000	14 093 128	14 095 128
საანგარიშგებო პერიოდის მოგება	-	1 117 864	1 117 864
განაწილებული დივიდენდები	-	(135 000)	(135 000)
ნაშთი 31.12.2019-თვის	2 000	15 075 992	15 077 992

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 40-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შპს „ახალი ნათება“

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

	2019	2018	შენიშვნა
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	30 973 153	25 673 395	
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან	4 286	-	
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(21 288 978)	(16 703 809)	
გაცემული შრომის ანაზღაურება	(3 247 109)	(3 039 454)	
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება	(203 014)	(111 509)	
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული ავანსები	(11 874)	15 173	
განაცემები საქველმოქმედო მიზნით	(190)	(1 000)	
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(5 425 158)	(4 402 435)	
გადახდილი მოგების გადასახადი	(5 043)	(4 479)	
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	(103 146)	(88 587)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	692 927	1 337 295	
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
ძირითადი საშუალებებისა და სხვა გრძელვადიანი აქტივების შეძენა	(557 958)	(385 257)	
ძირითადი საშუალებების გასვლიდან შემოსულობანი	138 474	-	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	(419 484)	(385 257)	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან			
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო			
სესხების აღება	19 322 880	12 079 898	25
სესხების დაფარვა	(18 777 205)	(12 516 182)	25
გადახდილი პროცენტები	(290 316)	(294 180)	26
გადახდილი დივიდენდები	(385 935)	(274 707)	27
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	(130 575)	(1 005 171)	
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	(27 862)	(22 727)	
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	115 007	(75 860)	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	39 586	115 446	
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	154 593	39 586	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს შემდეგ პირთა მიერ:

აღმასრულებელი დირექტორი ----- თემურ არდოტელი

ფინანსური მენეჯერი ----- თეა გიგიაშვილი

თანდართული შენიშვნები მე-13 დან 40-ე გვერდის ჩათვლით წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.



შედეგისაკენ ატრიალებს სურათს გახლავთ, ის დროული და ეფექტური დივერსიფიკაცია, რაც განხორციელა კომპანიამ მსხვილი და საშუალო პროექტების განხორციელების კუთხით. 2019 წლის ბოლო და 2020 წელი ჩვენ გამოვიყენეთ იმისათვის, რომ სათანადო კვალიფიკაციის უნარების გუნდის მობილიზება მოვახდინეთ საპროექტო-ტექნიკური დაკვეთების შესასრულებლად. სწორედ ეს დროული გადაწყობა და ალტერნატიული შესაძლებლობის პოვნა აღმოჩნდა ის ფაქტორი რამაც შედარებით გაანეიტრალა პანდემიით გამოწვეული ნეგატიური ფაქტორები. შედეგად კომპანიამ შეივსო არამარტო „დაპაუზებული“ ეკონომიკური საქმიანობის დროს დაკლებული შემოსავლები, არამედ ჯამში ამ მომენტისათვის მიმდინარე მონაცემებით შემოსავლების ჭრილში 2020 წლის გასული პერიოდის შედარებას თუ მოვახდენთ 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან, ამონაგების კუთხით გვაქვს არათუ კლება, არამედ 12 %-იანი მატება

დამატებით დავძენ, რომ კომპანიას აქვს მყარი ფინანსური მდგომარეობა და რეპუტაცია ბაზარზე, რაც არის სტაბილური და დინამიური განვითარების საფუძველი სამომავლოდ. მიუხედავად შესაძლო ნეგატიური მოლოდინებისა, არ შეგვიზღუდია სასაქონლო მარაგებში ინვესტიციები, რეგულარულად ვიდებთ ახალ კოლექციებს, ასევე შეუფერხებლად ვაგრძელებთ გრძელვადიან საინვესტიციო პროექტებზე მუშობას რომელიც ეხება ჩვენი ინფრასტრუქტურის გაზრდას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გადართობას, საკადრო შემადგენლობის განვითარებასა და მოტივაციის კიდევ უფრო გაძლიერებას, ეს ყოველივე კომპანიის სამომავლო დამაჯერებელი და სტაბილური წინსვლის ამოცანებს ემსახურება რაც საშუალებას მოგვცემს, რომ კრიზისის შემდგომ ეკონომიკის დაგროვილ მოთხოვნას ბაზარზე მომზადებული შევხვდეთ და კონკურენტული უპირატესობა უფრო დამაჯერებელი გავხადოთ, მოგეხსენებათ ყოველი რეცესიის შემდგომ იწყება აღმასვლა, ეს გარდაუვალი კანონზომიერებაა.

საქმიანობის მიმოხილვა მომზადებულია შპს „ახალი ნათება“ გენერალური დირექტორის ზურაბ გაბინაშვილისა და აღმასრულებელი დირექტორის თემურ არდოტელის მიერ 2020 წლის 25 სექტემბერს:

ზურაბ გაბინაშვილი

თემურ არდოტელი

